

## პრესრელიზი

პირველი მასშტაბური ქართული ინვესტიცია უკრაინაში

GIG პარტნიორ შვეიცარიულ კომპანიასთან ერთად ხერსონის პორტის 30 წლიან მართვაში შედის. ხერსონის საზღვაო სავაჭრო პორტზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად უკრაინის ინფრასტრუქტურის სამინისტროს საკონკურსო კომისიამ 2020 წლის 21 იანვარს კომპანია LLC RISOIL –KHERSON გამოაცხადა. ქართულ-შვეიცარიულ კომპანიას პორტის მართვის უფლება გამოცხადებული კონცესიის პირობისთანახმად 30 წლით გადაეცა.

უკრაინის მთავრობამ დღეს საჯარო პრეზენტაცია გამართა - საზოგადოებას და მედიას ტენდერში გამარჯვებული ინვესტორი კომპანია LLC RISOIL-KHERSON წარუდგინა, რომლის მესაკუთრე გახლავთ შპს „საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფთან“ აფილირებული კომპანია „Petrol Oil and Chemicals“ და შვეიცარიული კომპანია „Rissoil S.A.“ პრეზენტაციას უკრაინის მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენლები, ინფრასტრუქტურისა და უკრაინის ეკონომიკის მინისტრები, კატარის ინფრასტრუქტურის მინისტრი და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები ესწრებოდნენ. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს „ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელმა დავით ბეჟუაშვილმა. უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ქვეყანაში ახალ ეკონომიკურ რეფორმებზე, საკანონმდებლო ცვლილებებსა და მიმზიდველ საინვესტიციო პოლიტიკაზე ისაუბრეს. აღნიშნეს, რომ საკონკურსო პროცესი უპრეცედენტოდ სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარდა. შერჩევის მთავარი პრინციპი კი გამარჯვებული ინვესტორის რეპუტაცია, მათი მხრიდან წარდგენილი საუკეთესო საინვესტიციო წინადადებები და ბიზნესგამოცდილება გახდა.

LLC RISOIL-KHERSON-მა საზოგადოებას, მთავრობასა და მედიას ხერსონის სავაჭრო პორტის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია წარუდგინა საკუთარი ხედვით, მისიით,



## პრესრელიზი

განვითარების გეგმით და პორტის გადაიარაღების სქემით. ინვესტორი კომპანია პორტის განვითარებაში 15 მლნ დოლარის ინვესტიციის განხორციელებას გეგმავს და ხერსონის ინფრასტრუქტურის მოწყობა- განვითარებაზე ვალდებულებასაც იღებს.

უკრაინაში დაწყებულმა ახალმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ და საკანონმდებლო ცვლილებებმა, რაც ინვესტორებისთვის სტატეგიული სახელმწიფო ობიექტების მართვის უფლებით გადაცემას ეხებოდა, განსხვავებული შესაძლებლობები გააჩინა ინვესტორებისათვის.



კომპანია “ჯი-აი-ჯი” ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

